89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №7 {7060) 4 აპრილი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

9 აპრილი

კვლავაც გაუნელებელი ტკივილი

ეს დღე „იქნება მარად ამაღლებული და დიდებული“, რადგან ჩვენი ბედკრული ისტორიის ერთი მხოლოდ ცრემლიანი კი არა—სისხლიანი ფურცელია.

1989 წლის 9 აპრილს, რუსული ჯარების მიერ, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევისას, ორ ათეულზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, რასაც პროგრესული კაცობრიობის დიდი პროტესტი მოჰყვა.

ჯერ კიდევ მაშინდელი საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობაზე, ქართულმა დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დატოვა ყრილობის სხდომათა დარბაზი. ქართველთა დელეგაციასთან ერთად, სოლიდარობის ნიშნად, დარბაზი ასევე დატოვეს ყრილობის მონაწილე სხვა რესპუბლიკების არაერთმა დეპუტატმა. ამ ამბავს ასე აფასებდა ჩვენი საყვარელი პოეტი ანა კალანდაძე...

იქნები მარად ამაღლებული და დიდებული!

„უღმრთო ზრახვა“ ხომ არასოდეს გაგივლია გულში, მრავალტანჯულო ჩემო ქვეყანავ, იმიტომაც ხარ და იქნები მარად ამაღლებული და დიდებული! იმიტომაც ამოუდგა მხარში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უმრავლესობა მძიმე წუთებში ქართველ დეპუტატებს, რომელთაც შარშან, დეკემბერში, პროტესტის ნიშნად დატოვეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დარბაზი, სადაც „გაჭირვებულთა შენთა“ უნდა ეზეიმათ (9 აპრილის ცოდვა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ უნდა დაგვდებოდა!)! ვერ კი იზეიმეს, რადგანაც „არა იყო პირსა მათსა ჭეშმარიტება“!

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!

მსოფლიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს, მსოფლიოს ქვეყნების ცალკეული ლიდერების და საერთოდ, ცივილური სამყაროს დიდი ძალისხმევის მიუხედავად, 24 თებერვლიდან დღემდე ვერ მოხერხდა რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შეჩერება.

უზარმაზარია მატერიალური ზარალი, რაც უკრაინამ უკვე მიიღო. მიწასთანაა გასწორებული ათეულობით ქალაქი და სოფელი, ინფრასტრუქტურული ობიექტები—სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, საცხოვრებელი სახლები, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებები...

ნიშანდობლივია, რომ ისე როგორც სრულიად

საქართველოში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში აქტიურად გრძელდება სხვადასხვა სახის აქციები უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა სოფელ ალისუბანსა და ზედა საზანოში ის ოჯახები მოინახულეს, რომლებიც უკრაინიდან — ხარკოვიდან, მარიუპოლიდან, ასევე ხერსონიდან ჩამოვიდნენ და დროებით ჩვენს ქვეყანაში აპირებენ ცხოვრებას.

ხელმძღვანელმა პირებმა უკრაინელ ოჯახებს საკვები პროდუქტები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს, მოისმინეს მათი საჭიროებები და თანადგომას დაჰპირდნენ.

უკრაინელ მოქალაქეებთან საუბრისას, რასაც ასევე ესწრებოდნენ ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, ბადრი ბუცხრიკიძე, საზანოსა და თუზის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით გოგბერაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები, აღინიშნა რომ მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან აღნიშნული ოჯახების მიმართ თანადგომა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ამის საჭიროება იქნება.

აუნაზღაურებელია ის დიდი ტკივილი და მწუხარება, რაც ამ ომმა მშვიდობიან მოსახლეობას მოუტანა—ათასობით დაღუპული და დასახიჩრებული, ასეულობით გარდაცვლილი და ობლად დარჩენილი ბავშვი.

ამ ომში იღუპებიან არა მარტო რუსი და უკრაინელი სამხედროები, არამედ მოხალისეები სხვა ქვეყნებიდან. საქართველომ უკვე დაიტირა იქ მებრძოლი ოთხი ქართველი: ***დავით რატიანი, გია ბერიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ბახვა ჩიქობავა,*** *რომლებიც უკრაინელთა მხარდასაჭერად იბრძოდნენ...*

მწუხარებას გამოვხატავთ და თანავუგრძნობთ დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს.

უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, გახსნილია ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა გადარიცხოს თანხა და გახდეს ქველმოქმედების მონაწილე.

ანგარიშის ნომერი-300208800

აქცია გრძელდება, მონაწილეობის მსურველებმა ინფორმაციისთვის უნდა დარეკონ ან მივიდნენ შემდეგ მისამართებზე: საკონტაქტო: 598 58 74 38;

598 70 75 40

მისამართი: რუსთაველის ქუჩა №103; (სპორტის სასახლე)

„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა აქცია „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“.

☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞3

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“—2022 ☞5

ვნების კვირა ☞4



ოჯახი ქართულ-უკრაინული ტრადიციებით ☞7

აპრილი

7 აპრილი—ხარება

9 აპრილი—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღე

14 აპრილი—დედაენის დღე

17 აპრილი—ბზობა

24 აპრილი—აღდგომა

სამუშაო შეხვედრა ახლადდანიშნული კადრების წარდგენით...

გასულ კვირას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილეებთან ერთად, სამსახურისა და განყოფილების უფროსებთან, ა(ა)იპის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრა გამართა.

თათბირზე ლაშა გოგიაშვილმა, მერიაში ჩატარებული კონკურსის საფუძველზე დანიშნული ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე ლაშა ლანჩავა წარადგინა.

ლაშა ლანჩავა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ ნახშირღელის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ. იგი არის მაღალი დონის კვალიფიკაციური კადრი, რომელიც გამოირჩევა გუნდური მუშაობითა და ეფექტური კომუნიკაციის უნარით და საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით ასრულებს.

მუნიციპალიტეტის მერმა, ახალი თანამშრომელი წარადგინა შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზეც.აღნიშნულ სამსახურს, სოსო არაბიძე უხელმძღვანელებს, რომელიც მანამდე საგზაო ტრანსპორტირების მოძრაობის უსაფრთხოების განყოფილების უფროსის პოზიციას იკავებდა.

„ჩემთვის მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში მუშაობის სამართლიანი და თანასწორი პრინციპების გააზრება, რომელიც ზრდის ეფექტურად და წარმატებით მუშაობის შესაძლებლობას.

ცხოვრების დიდი ნაწილი სამართლისა და სამართლიანობის დაცვის მიმართულებაზე ვიმუშავე, დაწყებული ყველაზე დაბალი პოზიციიდან, დამთავრებული სამსახურის / განყოფილების უფროსობამდე, რაც მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ კარგად მესმის საჯარო სამსახურის მუშაობის ძირითადი მიმართულებები.“—აღნიშნა სოსო არაბიძემ.

მუნიციპალიტეტის მერმა, თანამშრომლებს დაკავებული პოზიციები მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

სამუშაო შეხვედრაზე, ხელმძღვანელმა პირებმა, თითოეული სამსახურის უფროსისგან შესრულებული სამუშაოებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოისმინა ინფორმაცია.

ლაშა გოგიაშვილმა, მუნიციპალიტეტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება და თანამშრომლებს შესაბამისი რეკომენდაციები მისცა.

თათბირზე, მერის მოადგილემ, მირზა ქოჩიაშვილმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიცირებულ პროგრამაზე, რომელიც სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას უზრუნველყოფს.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებმა სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვის ცენტრებს უნდა მიმართონ.

გამოიყენეთ შესაძლებლობა უფასოდ დაარეგისტრიროთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები!

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022 - 2024 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით რეფორმა ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს ანუ 4000-ზე მეტ სოფელს მოიცავს. მიწის სისტემური რეგისტრაცია 2025-წლის პირველ იანვრამდე დასრულდება.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში უფასოა შემდეგი მომსახურება: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზება; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის მომზადება; საკადასტრო მონაცემების ცვლილება; საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია; საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აზომვა და მონაცემების დაზუსტება; გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება; დავების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია); მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია.

მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო პროგრამა— 2022 დაიწყო...

2022 წლის 21 მარტიდან დაიწყო და 11 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება ბიზნეს იდეების მიღება, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია ან პირველად მონაწილეობს, ასევე - მეწარმე სუბიექტს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. შეზღუდვა შეეხებათ 2020 წლის ეტაპის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციარებს, ასევე 2015-2018 წლებში არაუმეტეს ერთხელ უკვე დაფინანსებულ ბენეფიციარებს.

მეწარმე სუბიექტებს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ, როგორც მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოების, ასევე, ახალი ბიზნეს პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

პროგრამის ფარგლებში გრანტის მოცულობის ზედა ზღვარი 30 000 ლარია, ხოლო საპილოტე რეგიონებში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, გურია, კახეთი) საგრანტო თანხის მოცულობა 40 000 ლარამდე გაიზარდა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი პრიორიტეტები;

ა) ახალი ბიზნესის წამოწყება;

ბ) ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

გ) სოფლად ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

დ) მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

ე) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

ზ) ახალგაზრდა (29 წლის ასაკის ჩათვლით) მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის წამოწყება / გაფართოება;

თ) განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი / მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე / ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები.

პროგრამის პირობების და განაცხადის შემოტანის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/.../Busi.../microgrants

საკონტაქტო ცხელი ხაზი- 1525.

ლევან მხეიძე

90 წლის ასაკში გარდაიცვალა მოქანდაკე, მხატვარი და პედაგოგი ლევან მხეიძე.

ლევან მხეიძე 1931 წელს ქუთაისში დაიბადა. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1963 წლიდან იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი და შემდგომ აკადემიის პროფესორი.

ლევან მხეიძის ნამუშევრები საქართველოს სხვადასხვა ქალაქშია განთავსებული. მათ შორის, ქალაქ თერჯოლაში, მის მიერაა შექმნილი დავით კლდიაშვილის ძეგლი, ბარელიეფები და სკულპტურები მწერლის ნაწარმოებების პერსონაჟების მიხედვით, რომლებიც წლებია ამშვენებენ თერჯოლის მუნიციპალიტეტს.

ლევან მხეიძეს ეკუთვნის ნამუშევრები; „ზაქარია ფალიაშვილი“ (1971, ბრინჯაო, ქუთაისი); დიდების მონუმენტი „ვეფხვი და მოყმე“ (1975, ბაზალტი, ონი), „ილია ჭავჭავაძე“ (საგურამო) და სხვა.

ლევან მხეიძე იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

ბოლო წლებში მოქანდაკე გერმანიაში ცხოვრობდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატები

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების სია გაფართოვდა. 60-მდე დასახელების მედიკამენტის შეძენა საქართველოს მოსახლეობას უკვე 3 დიდ სააფთიაქო ქსელში შეუძლია.

იაფი მედიკამენტები „ფარმადეპო“-ს, „ავერსი“-ს და „PSP“-ს ქსელშია ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, ხვალიდან მედიკამენტ ქსარელტოს შეძენა შესაძლებელი იქნება „GPC”-ს მთელ ქსელში. იგივე მედიკამენტი ხელმისაწვდომია „ფარმსახლი“-ს სააფთიაქო ქსელშიც.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, პრეპარატების ფასი, საშუალოდ, 60-80%-ით შემცირდა.

მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჯანდაცვის სამინისტროში, ამ მიმართულებით, მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

თურქეთიდან იმპორტირებული პრეპარატების ჩამონათვალი მოწოდებულია ფარმაცევტული სექტორის მიერ და განახლდება კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

აფთიაქების მისამართებს, სადაც მათი შეძენა არის შესაძლებელი გაეცნობით ამ ბმულზე: https://www.moh.gov.ge/uploads/files/2022/21.03.22.pdf

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ნაგარევის წყალი და თუზი-თავასის გზა

აქტიურ ფაზაშია თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაგარევის უწყვეტი წყალმომარაგების მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები, რაც მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან, მანუჩარ რობაქიძესთან და მირზა ქოჩიაშვილთან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ნაგარევში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შპს „ უნიმშენი” ახორციელებს. პროექტის ფარგლებში სასმელ წყალს 80 ოჯახი მიიღებს.

იმავე დღესვე, ხელმძღვანელმა პირებმა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგის მიზნით, სოფელ თუზი-თავასის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მოინახულეს. პროექტის ფარგლებში იქ მოეწყობა რკინა-ბეტონის საფარი, 1 100 მ სანიაღვრე არხები და ცხაურები.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯეო როუდ ინვესტი” ახორციელებს. პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა მოქმედებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოციაურად დაუცველთა სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, გასულ კვირას უკვე დასაქმდა რადენიმე მოქალაქე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიიდან გვაცნობეს ეს პროცესი თანმიმდევრლად გაგრძელდება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთა დასაქმების ამ პროგრამის ირგვლივ არაერთი ღონისძიება განხორციელდა. გაიმართა რაიონის ხელმძღვანელი პირების შეხვედრები ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებთან, ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსი, ნინო ჭიღლაძე და დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს იმერეთის კოორდინატორი, ეკა ლეჟავა უძღვებოდნენ.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ეს მასშტაბური პროგრამა სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, ათასობით ვაკანსიაა, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

ბენეფიციარებს დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

პროგრამის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ 18 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად, ბენეფიციარს, დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზეც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი, დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურადაა დასაქმებული. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, სოციალური შემწეობის მიმღები პირის სტატუსი არ გადამოწმდება.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05 დაკავშირება შეუძლიათ.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა კვლავ დღის წესრიგშია

გასულ კვირას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.

შეხვედრას, მერის რეფერენტი, გიორგი რობაქიძე, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ჯგუფის უფროსები დავით ფანჩულიძე და თამაზ აფხაზავა უძღვებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებზე, ასევე უსაფრთხოების იმ ნორმებზე, რომელთა დაცვაც აუცილებელია მავნებელთა საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების პერიოდში.

ამავე შეზვედრაზე განხილვის თემას ასევე წარმოადგენდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოციაურად დაუცველთა სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა რიგგარეშე სხდომა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ სამ საკითხს: თერჯოლის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია გარდაცვალების გამო საკრებულოს გამოკლებული წევრის, ამბერკი დოლაკიძის ადგილმონაცვლის, ფრიდონ გვენეტაძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის” წარმომადგენლებთან.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი დაესწრო, სადაც საუბარი შეეხებოდა ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერას, ასევე ამ მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ხაზგასმით ითქვა, რომ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს.

ბავშვისა და ოჯახების გაძლიერების მიზნით, ფონდი „სოხუმის” ინიციატივით, ასევე ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ერთობლივი თანამშრომლობით, თერჯოლაში მცხოვრებ ერთ-ერთ ბენეფიციარს საჩუქრად სასურსათო კალათა და მობილური ტელეფონი გადაეცა.

პროგრამის მთავარი გამოწვევა, ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირება, ელექტრონული წიგნიერების ამაღლება და სერვისებთან წვდომაა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებულ მუშაობას, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაციას.

ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების, ასევე პროცედურების დაცვით.

დასუფთავების მორიგი აქცია

1993 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, ყოველ 22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

მნიშვნელოვანია წყლის რესურსების, როგორც სიფრთხილით, რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენება, ასევე მისი დაცვა დაბინძურებისგან. დასუფთავების აქცია ჯანსაღი გარემოს შექმნისათვის საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და ამ მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვით ღონისძიებებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასთან, საკრებულოსა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებთან ერთად სისტემატურად მონაწილეობენ, საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ჯანსაღი გარემო პირობების შექმნასა და შენარჩუნებაში.

ამჯერად, კორონავირუსული პანდემიის გათვალისწინებით, დასუფთავების აქცია სხვადასხვა ტერიტორიაზე მცირე ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა.

პროექტი „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, განმახორციელებელი ორგანიზაციები არიან „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამინის მეგობრები-საქართველო“, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ და ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“.

ვნების კვირა

ვნების კვირა —დიდმარხვის ბოლო კვირა (18-23 აპრილი), აღდგომის წინა სადღესასწაულო დღეები

ქრისტიანული ეკლესია მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) მოსაგონებლად იმ ცოდვების გამოსასყიდად, რომლებიც ადამიანს აქვს უფლის წინაშე. ეკლესია დაბეჯითებით ამტკიცებს ამ დღეებში მარხვის აუცილებლობას. ეს მარხვა ქმნის ნაღვლიან განწყობილებას და წუხილს იმ წამების გამო, რაც იესომ ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად გადაიტანა. ვნების კვირის ღირსახსოვარი დღეებია:

დიდი ორშაბათი–როდესაც იესომ დაწყევლა უნაყოფო ლეღვი;

დიდი სამშაბათი–როდესაც იესომ ტაძარში ახალი მოძღვრება იქადაგა;

დიდი ოთხშაბათი–როდესაც მოწაფეებმა იესოს სერობა მოუწყვეს;

დიდი ოთხშაბათი–როდესაც იესომ თვითონ გაუმართა მოციქულებს სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო;

დიდი პარასკევი–როდესაც იესო აწამეს და ჯვარს აცვეს;

დიდი შაბათი–როდესაც იესო დაკრძალეს.



დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია იხსენებს უნაყოფო ლეღვის გახმობას. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა, ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესია დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს.

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათ ქალწულსა და ტალანტებზე და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მოწმუნეებს სულიერი სიფხიზლისაკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისაკენ, განსაკუთრებით კი მოწყალებისაკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის, როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25,40).

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა.

ოთხშაბათი ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდი ხუთშაბათი

არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრებისათვის. მე აგირჩიეთ თქვენ, - ეუბნება მოწაფეებს, - და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ. აჰა, მოდის დრო, ცოტაც და ვეღარ მიხილავთ მე. თქვენ მწუხარენი ხართ ახლა, მაგრამ კვლავ მიხილავთ და გაიხარებს თქვენი გული და ვეღარავინ წაგართმევთ სიხარულს თქვენსას. გამხნევდით, მე ვძლიე ქვეყანას, - თქვა უფალმა და გაემართა გეთსიმანიის ბაღისაკენ ზეციური მამის წინაშე სალოცავად, რათა შეავედროს ძეობა თვისი, საყვარელი მოწაფენი და ცოდვით დამძიმებული კაცობრიობა (იოანე 15,9-17; 16,16-33).

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევი იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეა.

პრეტორიუმის წინ, რომაელი პროკურატორის სასახლესთან შეკრებილი ხალხი იესოს ჯვარცმას ითხოვდა. სიკვდილამდე ნაწამები ქრისტე, რომელსაც თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს, პილატეს შორიახლოს იდგა და განკითხვას ელოდა...

უძილო, მოუსვენარმა ღამეებმა გაამძაფრა მისი მწუხარება, შოლტით დასერილი ზურგი მძიმე ჯვარს ელოდა... იდგა მშვიდი და უმანკო. უკიდურესი დამცირება და შეურაცხყოფა ჯვარცმით უნდა აღსრულებულიყო. ჯვარიც მზად იყო, მაგრამ თითქოს რაღაც სხვას ელოდნენ.

გაუთავებელმა დაკითხვამ, ცემამ, ფურთხებამ და აბუჩად აგდებამ სასიცოცხლო ძალები თანდათან დაუშრიტა.

პილატემ არ იცოდა, რა ექნა. დანაშაულიც ვერაფერი წაუყენა, მაგრამ გამოსავალი იპოვა: ებრაული ტრადიციით, ხალხს ორი მსჯავრდადებულიდან ერთ-ერთი უნდა გაეთავისუფლებინა.

ავაზაკ ბარაბასა და ქრისტეს შორის ხალხს არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ხალხი ყვიროდა - ბარაბა, ბარაბაო. იესოს რა ვუყოთო, - კითხულობდა პილატე. ხალხი, რომელიც სულ რაღაც ექვსი დღის წინ იერუსალიმში შემავალ უფალს პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილებით შეხვდა, გაიძახოდა, - ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგაო...

პასექის პარასკევის მეექვსე საათი იყო. პილატემ ხელები დაიბანა და სამსჯავრო სკამზე დაჯდა - „აჯა, თქვენი მეუფე, მე ბრალი არა მაქვს მაგ მართლის სისხლში“ (ლუკა 23,4), თქვენ იკითხეთო. გაბოროტებული ხალხი გაიძახოდა, - ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგისი სისხლიო (მათე 27,25).

პრეტორიუმიდან გოლგოთამდე პალესტინის თაკარა მზით გახურებულ გრძელ გზაზე აუტანელი ტკივილებით გათანგული მიაბიჯებდა სამყაროს მეუფე. მხარზე მძიმე ჯვარი ედო, უამრავი ხალხი მიჰყვებოდა...

უნდა მომკვდარიყო ტანჯვით. ნუთუ სიკვდილის ღირსი რაიმე ქმნა? რის გამო შეისხა ხორცი დიდებით შემოსილმა? ღმერთი იყო და რატომ გახდა ადამიანი? რა აიძულებდა ღმერთს, ხორცი შეესხა, სახვევებში შეხვეულიყო, ბაგაში დედის რძით გამოკვებილიყო, სიკეთის ნაცვლად ბოროტება მოემკო, სიხარულის ნაცვლად - მწუხარება, ცხოვრების ნაცვლად - სიკვდილი, ჯვარზე გაკრული საფლავში დადებულიყო? რა აუცილებლობამ აიძულა ის? ცხადია, ადამიანის სიყვარულის გამო ითმენდა ყველაფერს.

ამ ადამიანებმა კი მისი წმინდა და უმანკო სხეული ორ ავაზაკს შორის ჯვარზე გააკრეს, ლურსმნით ხელ-ფეხი გაუხვრიტეს, წყურვილით გატანჯულს ძმარი და ნაღველი შეასვეს. მისი წმინდა სამოსი ურთიერთშორის გაიყვეს და დასცინეს: - ტაძრის სამ დღეში აღმშენებელო, გამოიხსენ თავი შენი...

დღის თორმეტ საათზე სიბნელემ მოიცვა ქვეყანა. მწუხარებით აღსავსე იესო კი ზეციურ მეუფეს ევედრებოდა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ მარჯვენით ჯვარცმულმა ავაზაკმა დაინახა ეს უსამართლობა, შეინანა და უდანაშაულოდ დასჯილს სასუფეველში მოხსენება სთხოვა. ამ დროს დედა ღვთისმშობელიც ჯვარცმულის ფერხთით იდგა, მხოლოდშობილი ძის ტანჯვით გამოწვეული უმძიმესი ტკივილი მახვილივით უსერავდა გულს.

იესომ ჯვრიდან დაინახა მტირალი დედა, შეებრალა და საყვარელ მოწაფეს, იოანეს, ჩააბარა: „დედაო, აჰა შენი ძე!“ ხოლო იოანეს უთხრა: „აჰა დედა შენი!“ (იოანე 19,26).

მეექვსე საათიდან მეცხრე საათამდე წყვდიადმა მოიცვა არემარე. მეცხრე საათზე მაცხოვარმა ხმამაღლა წარმოთქვა: „მამაო, ხელთა შენთა შეევედრებ სულსა ჩემსა“ (ლუკა 23,46) და სული განუტევა. დაბნელდა მზე, მიწა შეიძრა და საფლავები გაიხსნა, იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელი შუაზე გაიპო. სამყარომ შეიცხადა კაცობრიობის უკიდურესი სისასტიკე. წინასწარმეტყველება აღსრულდა.

აღსრულდა ნება ღვთისა, მოვიდა სოფლად მხსნელი, რომელსაც სულიერ სიბნელეში მყოფი, ღმერთს დაშორებული და ჭეშმარიტ ბედნიერებას მოკლებული კაცობრიობა ეშმაკის მონობისაგან უნდა გაეთავისუფლებინა, აღედგინა შეწყვეტილი კავშირი ღმერთთან და დაებრუნებინა მისთვის დაკარგული ნეტარება.

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისაგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუაღამისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მაცხოვარია ამოქარგული.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოსხნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვენოს“ გალობის შემდეგ კი ტროპარის, „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი“, გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურისა და წყლის გარდა არაფერს იხმევს.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაჰყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულია, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (იოანე 16,12).

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“—2022

მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში დასრულდა მოსახლეობის საერთო კრებები და შეხვედრა-კონსულტაციები, მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობის მიერ, მათი სოფლებისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში შერჩეული საპროექტო წინადადებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარადგინა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების განკარგულების პროექტი, რომელიც დაამტკიცა საკრებულოს 18 მარტის რიგგარეშე სხდომამ.

ამჯერად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს ამ პროგრამის განხორციელების მეორე ეტაპზე, რაც ითვალისწინებს სამუშაოების შემსრულებელთა გამოსავლენად ტენდერების ჩატარებას და ამ პროცესის წარმართვისათვის მთელ რიგ სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური სახის ღონისძიებების გატარებას.

სავარაუდოდ, მეორე ეტაპის ყველა ეს სამუშაო აპრილ-მაისში შესრულდება და ივნისიდან მუნიციპალიტეტის სოფლებში აქტიურად დაიწყება მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელება.

აქვე გთავაზობთ მუნიციპალიტეტში შესასრულებელი ამ პროექტების ნუსხას სოფლების მიხედვით.

2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ოქონა—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

სეფარეთი—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 10 000 ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—საბავშვო ბაღის შენობის ფასადის მოპირკეთება 16 000 ლარი

ჩხარი-ოქტომბერი—ამირანაშვილების უბანში ბეტონის გზის მოწყობა 10 000 ლარი; სხვადასხვა უბნებში გარე განათების მოწყობა 2 000 ლარი; აბულაძეების უბანში სასმელი წყლის ჭის რეაბილიტაცია 4 000 ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—მინი სტადიონის მოწყობა 16 000 ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—გარე განათების მოწყობა ცენტრალურ გზაზე 11 300 ლარი; საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა 4 000 ლარი; საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 4 700 ლარი

კაკაბოური—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

თავასა—ცინაძეების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ჯგილათი—საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 10 000 ლარი

ვარდიგორა—წყლის სისტემის მოწყობისთვის მასალების შეძენა 16 000 ლარი

საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—გარე განათების მოწყობა ცენტრალურ გზაზე 20 000 ლარი

დელტასუბანი—წყლის ტუმბოს შეძენა 4 000 ლარი; პოლიეთილენის წყლის მილის შეძენა 5 000 ლარი; წყლის რეზერვუარის შეძენა 5 000 ლარი; ბეტონის ბლოკისა და ცემენტის შეძენა 2 000 ლარი

შიმშილაქედი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ჩიხორი—მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა 5 000 ლარი; შახტური ჭის მოწყობა 3 000 ლარი; ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 4 000 ლარი

მუჯირეთი—წყაროს რეაბილიტაცია 7000 ლარი; სანიაღვრე არხების ცხაურების და ბოგირების მოწყობა 3 000 ლარი

სკანდე—გარე განათების მოწყობა 16 000 ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა ალისუბანი—მინი სტადიონის მოწყობა 20 000 ლარი

ზედა ალისუბანი—ხუჯაძეების და ბუცხრიკიძეების უბანში ცხაურის მოწყობა 6000 ლარი; გარე განათების მოწყობა 11 000 ლარი

ზარნაძეები—მინი სტადიონის მოწყობა ქვედა ალისუბნის ცენტრში 12 000 ლარი

თხილთაწყარო—მინი სტადიონის მოწყობა ქვედა ალისუბნის ცენტრში 10 000 ლარი

მაჩიტაური—მინი სტადიონის მოწყობა ქვედა ალისუბნის ცენტრში 10 000 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—გარე განათების მოწყობა ცენტრალურ გზაზე 20 000 ლარი

ტელეფა—სასაფლაოს შემოღობვა 16 000 ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე არხების ცხაურების და ბოგირების მოწყობა 15 450 ლარი; დედაღვთისის მიმდებარედ არსებული სასაფლაოს შემოღობვა 4 550 ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—ბარდუბნის №1 და №2 საბავშვო ბაღების ოთახების სარემონტო სამუშაოები 3 000 ლარი; გარე განათების მოწყობა სხვადასხვა უბანში 17 000 ლარი

სათემო—გარე განათების მოწყობა ჭუმბურიძეების უბანში 12 000 ლარი

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული

ეწერი—სოფელ ეწრის ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა 9 200 ლარი; სოფლის ცენტრალურ გზაზე სასაფლაოს მიმდებარედ ბოგირის მოწყობა 800 ლარი; სოფლის საუბნო გზაზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 10 000 ლარი

ახალი უბანი—აჯამეთში სახნავ-სათესი ფართობების შემოსაღობად ეკლიანი მასალის შეძენა და მიწოდება 12 000 ლარი

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—ცენტრალური გზის გასწვრივ გრუნტის სანიაღვრე არხის მოწყობა 3 000 ლარი; საბავშვო ბაღის ეზოსათვის ჭიშკრის მოწყობა 2 000 ლარი; ცენტრალური გზის მიმდებარედ ბოგირების მოწყობა 1 500 ლარი; სოფლის ცენტრში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა 3 000 ლარი; გარე განათების მოწყობა ამბულატორიიდან კახიძე-მემანიშვილების მიმართულებით 10 500 ლარი;

ჩხარი ეწერი—ფანჩულიძეების უბანში სტადიონის მოწყობა 6 000 ლარი; ისაკაძეები-გოგბერაშვილების უბანში გრუნტის სანიაღვრეს მოწყობა 1 000 ლარი; ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა ცენტრალურ გზაზე არსებული რკინა-ბეტონის არხებით 1 000 ლარი; გარე განათების მოწყობა ტოფაძეების, ყაზაიშვილების და ჩაფიძეების უბნებში 8 000 ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—სოფ. ახალთერჯოლის ცენტრში მინი სტადიონის მოწყობა (დასრულება) 14 000 ლარი; ახალთერჯოლის საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობა 6 000 ლარი

ბოსელა—სოფ. ახალთერჯოლის ცენტრში მინი სტადიონის მოწყობა (დასრულება) 10 000 ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—კუზმენკოების უბანში ცხაურისა და სანიაღვრე არხის მოწყობა 5 000 ლარი; ვაჟა აბულაძის სახლის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა 1 000 ლარი; სკოლის ეზოში სტადიონის მოწყობა 10 000 ლარი

ოდილაური—გვენცაძეების უბანში სტადიონის მოწყობა 16 000 ლარი

სარბევი—გარე განათების მოწყობა სხვადასხვა უბანში 16 000 ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი—სოფლის ცენტრში გმირთა მემორიალის რესტავრაცია 3 000 ლარი; ლევიძე-ბრეგაძეების უბანში ცხაურის მოწყობა 1 800 ლარი; გაბრიჭიძეების უბანში სტადიონის მოწყობა არსებული მასალით 4 700 ლარი; ცირეკიძეების უბანში სტადიონის მოსაწყობად მასალების შეძენა 6 000 ლარი; შანიძეების, ამბროლაძეების და პერანიძეების უბანში გარე განათების კაბელის შეძენა 2 500 ლარი; ჭიჭინაძეების უბანში წყლის სისტემის მოწყობისათვის მასალების შეძენა 2 000 ლარი

ნაგარევი—ხუციშვილების უბანში ხიდ ბოგირების აღდგენა მოწყობა 6 000 ლარი; ზაქარაშვილების უბანში ბეტონის გზის მოწყობა 6 000 ლარი

ბროლისქედი—შველიძეების უბანში სტადიონის მოწყობისათვის მასალების შეძენა 12 000 ლარი.

ჭალასთავი—ბეტონის გზის მოწყობა ხუჯაძეების უბანში 10 000 ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—გარე განათების მოწყობა სათემოსა და სვინტრაძეების უბანში 20 000 ლარი

ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირღელე—სოფლის ცენტრში სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა 20 000 ლარი

ნავენახევი—სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია 12 000 ლარი

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვედა სიმონეთი—ცხაურების, სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა სხვადასხვა უბნებში 11 600 ლარი; მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა სოფლის ცენტრში 5 500 ლარი; მგზავრთა მოსაცდელის დასრულება კლდიაშვილების უბანში 1 500 ლარი; ამბულატორიაში სარემონტო სამუშაოები 1 400 ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზედა სიმონეთი—სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე არხების და ცხაურების მოწყობა 4 800 ლარი; გარე განათების მოწყობა 6 000 ლარი; საუბნო გზებზე ინერტული მასალის შეტანა და გაშლა 9 200 ლარი.

ჩვენი სოლიდარობა უკრაინას!

ომი მშვიდობიან მოქალაქეებს, მათ სიცოცხლეს, იმედებს იწირავს. იღუპებიან ბავშვები, მოხუცები, ქალები, ჯარისკაცები... დაობლებული და უსახლკაროდ დარჩენილი პატარების სახეზე შიში და გულისშემძვრელი ტკივილი ისახება. ეს კაცობრიობის წინაშე მიმართული უდიდესი დანაშაულია.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს ომის ამ უმძიმეს რეალობაში და ჩვენს მორალურ მხარდაჭერას ვუცხადებთ მათ.

მაია თორთლაძე,
სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ხელმძღვანელი

პატარების თვალით დანახული ომი











აკაკი ქოჩიაშვილი,
ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო
სკოლის VI კლასი

ნიკა ქურცაძე,
ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო
სკოლის VI კლასი

ცისარტყელას ისევ დაუბრუნდება ფერები

ბაღი ყვავილებს, სურნელოვანსა და ლამაზს გვახსენებს, უდავოდ, კიდევ მსხმოიარე ხეხილს-ლამაზსა და გემრიელს, მომავალში კიდევ უფრო რომ იყვავილებს, დაიხუნძლება. ჩვენი აღსაზრდელები სრული უფლებებით სარგებლობენ გონივრულ გარემოში, კულტურულად გაიზარდონ სიყვარულსა და სიხარულში, მოემზადონ უფრო სერიოზული ეტაპისთვის-წინ სკოლაა, სერიოზული და დიდი ცხოვრება. შემზარავია ომის კადრები: პატარა, ჭრელქურთუკიანი ბიჭუნა, შარაგზაზე რომ მიდის და ტირის. მას უნდა დაუბრუნონ დედა, სახლი, მზე, სამშობლო, ბავშვობა, მეტს არაფერს ითხოვს..... ბოლომდე არც და ვერც გააცნობიერებენ ჩვენი პატარები არსებულს, მომხდარს, მაგრამ მათ არსებაში უნდა გაჩნდეს სიბრალულის რაციონალური მარცვალი, ნაყოფის გამომღები სამომავლო... ამიტომაც იმ პატარა ხელებით დნეპრისპირა თანატოლებს უშურველად უგროვებენ ტანსაცმელს, საკვებს, სასუსნავსა და თავიანთ საყვარელ სათამაშოებსაც კი იმეტებენ... სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, ცისარტყელას ისევ დაუბრუნდება შვიდივე ფერი, მზე შინა და მზე გარეთ-მზე ისევ დაუბრუნდება თავის საუფლო უკრაინის თვალუწვდენელ სტეპებს, სავსე პურის ყანებს, ცას თეთრი ქათქათა მტრედები დაფარავენ და აქაური დედა ისევ იმღერებს შვილის აკვანთან ტკბილ, თბილ უკრაინულ ნანას... ჩვენი და თქვენი უფალი იყოს საქრისტიანოს, კაცობრიობის შემწე და მფარველი, ამინ!!!

ეთერ ყუფარაძე,
კვახჭირის საბავშვო
ბაღის დირექტორი

ძლიერები იყავით, უკრაინელო დედებო!

დღემდე მოუშუშებელი იარებით ვცოცხლობ. ძნელი აღმოჩნდა ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომში, ჩემი შვილის შმაგი სოფრომაძის სიკვდილი. თვითმხილველმა თქვა, რომ აყურებინეს საკუთარი საფლავის გაჭრა და დახვრიტეს. დახვრიტეს იმიტომ, რომ ბრძანება არ შეუსრულებია—ფეხით არ შემდგარა ქართულ ეროვნულ დროშაზე.

მიმძიმს ცხოვრება. მაგრამ სიამაყის გრძნობაც მეუფლება, რადგან გმირობაა შმაგის საქციელი, მას უყვარდა ძევრი, თერჯოლა, საქართველო. სამაგიერო მიღებული აქვს, ძევრის სკოლა, სკვერი სოფლის ცენტრში მისი სახელობისაა, საფლავი მუხათგვერდში. რუსეთ-უკრაინის ომმა განმიახლა ტკივილი, ძნელია მოუსმინო, როგორ იღუპებიან ადამიანები, უყურო, როგორ ინგრევა ქალაქები, როგორ ხდებიან ადამიანები ლტოლვილები. თითოეული დაღუპული ადამიანი ჩემთვის ახალი განცდებია, მე შვილმკვდარი დედა მივმართავ უკრაინელ დედებს-ძლიერები იყვნენ, სამშობლოსათვის დაღუპული ადამიანი დაღუპული არ არის. დადგება დრო, რომ უკრაინელ დედებს ექნებათ შვილების საფლავები, აღიარებულები იქნებიან, როგორც სამშობლოსათვის თავდადებულები, უკვდავი იქნება თითოეული უკრაინელი, ვინც შეეწირა სამშობლოს დაცვას, დარჩენილებს, რომლებიც ბევრნი, ძალიან ბევრნი იქნებიან, ღირსეული პატივი მიეგებათ.

ძლიერები იყავით უკრაინელო დედებო, შვილებო, მეუღლეებო, თქვენ გაიმარჯვებთ, სამართლიანია თქვენი მხრიდან ეს ომი.

ქეთო გოგიაშვილი-სოფრომაძე,
სოფელი ძევრი, შმაგი სოფრომაძის დედა

გაზაფხულმა მოსვლა ვერ გაბედა

„ომი ბარბაროსობაა, როდესაც მშვიდობიან მეზობელს თავს დაესხმებიან, მაგრამ ეს წმინდა მოვალეობაა, როდესაც სამშობლოს იცავ“—ამბობს გი დე მოპასანი. რა უნდა რუსეთს მშვიდობიანი ხალხისგან? რისი მიღწევა სურს? ყველას უჩნდება ეს კითხვა. ოკუპანტი რუსეთი თავისუფალ სახელმწიფოს, უკრაინას, თავს დაესხა.

ერთ მშვენიერ დილას, 2022 წლის 24 თებერვალს, როცა ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, მშობლები - სამსახურში, ომის მომასწავებელი სირენები ჩაირთო მთელ უკრაინაში. იმ დღიდან იბომბება ქვეყანა, არაერთი უდანაშაულო ადამიანი: ბავშვები, რომლებიც მტრის პირველი სამიზნეა, სამშობიარო სახლები, ეკლესიები. ომსაც აქვს თავისი კანონები და წესები. პურის რიგში ჩამდგარ მშიერ ადამიანებს, ონკოლოგიურ საავადმყოფოებს და სამშობიაროებს რომ დაბომბავ, ეს ხომ ლაჩრული საქციელია. ამას არანაირი გამართლება არ აქვს! თვით გაზაფხულმაც კი უარი თქვა მოსვლაზე, ატამს და ტყემალს ყვავილი როგორ უნდა გაეშალოს?! გაზაფხული ხომ ახალი სიცოცხლის, ბედნიერების და სიხარულის სიმბოლოა და როცა ამდენი ბავშვი უმოწყალოდ იღუპება, ამდენი სიცოცხლე და ბედნიერება ჭკნება, გაზაფხულსაც შერცხვა და მოსვლა ვერ გაბედა. „მშვიდობიანობისას შვილები მშობლებს მარხავენ, ომში კი მშობლები - შვილებს“ (ჰეროდოტე). ბომბები ცვივა ბაღებში, სკოლებში, ეკლესიებში, უდანაშაულო ადამიანები იხოცებიან და ამას ვინც აკეთებს არ შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო, არ შეიძლება ეწოდოს ქრისტიანი და უბრალოდ არ შეიძლება ეწოდოს ადამიანი, რომელსაც გული არ აქვს და არანაირი შეცოდება არ შეუძლია. როდესაც დედას შვილი უკვდება, მაშინ მისი ოცნებაა, რომ იქვე ბომბი დაეცეს თავზე და განადგურდეს. მას უდანაშაულოდ მოკლული შვილის გვერდით სურს ყოფნა. ვფიქრობ და ვერ გამიგია, როცა გსურს ქვეყანა ხელში ჩაიგდო, რა ხელს უნდა გიშლიდეს მოხუცები, ბავშვები, ორსული ქალები. ისინი ხომ იარაღს არ გიმიზნებენ. ვაჟკაცი უიარაღოს არ მოკლავს.

ამ ომიდან ყველაზე წაგებული ის ბავშვები რჩებიან, რომლებიც უმოწყალოდ იხოცებიან, მშობლები, რომლებსაც ბავშვები ხელში უკვდებათ.

ნიკოლოზ გუცხრიკიძე,
ალისუბნის თემის N2 საჯარო სკოლის
მე-10 კლასის მოსწავლე

მალე დაისადგურებს მშვიდობა

ჩემმა თაობამ ომი მხოლოდ ფილმებითა და ისტორიული მასალებით ვიცოდით. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს საშინელება მთელი სისასტიკით დაატყდებოდა თავს ჩვენს მეგობარ უკრაინას.

ომი რომ სისხლისღვრა, ნგრევა და განადგურებაა, კი მესმის, მაგრამ წარმოუდგენელია ის სისასტიკე, რომელსაც რუსეთის სამხედროები ჩადიან—სამშობიარო სახლებისა და საავადმყოფოების დაბომბვა. პურის რიგში მდგომი მოსახლეობის დახვრეტა, ლტოლვილად ქცეული მშვიდობიანი ადამიანებისათვის ცეცხლის გახსნა. რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

წარმოდგენაც არ მინდა, თუ როგორ არიან ახლა უკრაინაში ჩემი თანატოლები, რომლებიც წესით ლაღად და ბედნიერად უნდა ცხოვრობდნენ თავისუფალ ქვეყანაში, მაგრამ რეალობა ახლა ძალიან სასტიკია: ის ცრემლთან, შიმშილთან და ტკივილთანაა გაიგივებული.

ყოველი ადამიანის სიცოცხლე შეუფასებელია, ძვირფასია, ამიტომ, ჩემი აზრით, მოქალაქეების ეს უფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ირღვეოდეს. მე მჯერა, რომ გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია, ბოროტებას ვერ ექნება „ბოლო კეთილი“ და ეს მხოლოდ სულის სიმტკიცითა და ხალხის ერთიანობითაა შესაძლებელი. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე დასრულდება ეს ომი, რისთვისაც მთელი ცივილური სამყარო გაერთიანდა და მალე სიმშვიდე დაისადგურებს მსოფლიოში.

ანანო ცხადაძე,
კერძო სკოლა „მზეკაბანის“ XI კლასის მოსწავლე

ოჯახი ქართულ-უკრაინული ტრადიციებით

...აღელვებს დედის, ვალენტინა კრიჟანოვსკაიას ნათესავების ბედი, მათთან ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა, განსაკუთრებით 2009 წლიდან, დედის გარდაცვალების შემდეგ და ახლა, რუსეთ-უკრაინის ომის დროს. ხერსონის ოლქის, ნავატროის რაიონში, დედის მშობლიურ რაიონში, მრავლად ცხოვრობენ ვალენტინა კრიჟანოვსკაიას ახლობლები, სხვა ნაცნობები, უყვარს ირინა შუღლაძე—ცქიფურიშვილს უკრაინა და დედის ნათესავები, რომელთა გვერდით ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა. როცა ირინას მამა სიმონ შეყილაძე და ვალენტინა კრიჟანოვსკაია დაქორწინდნენ, საქართველოში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად, ირინაც აქ დაიბადა 1962 წელს, ქიათურაში. მერე უკრაინაში დაბრუნდნენ, ირინამ საშუალო სკოლა ქერჩში დაამთავრა, აქვე მიიღო ტექნიკური განათლება, 1990 წელს დაამთავრა ბელგოროდის უნივერსიტეტის ქიმია—ტექნოლოგიური ფაკულტეტი. პარალელურად სწავლობდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში და აქვს ახლა ირინას ოქროს მედალი და ორი წითელი დიპლომი.

სწავლის პერიოდში გაიცნო ირინამ მომავალი მეუღლე ბეჟან ცქიფურიშვილი, რომელიც ბელგოროდის უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1990 წელს, ბეჟანი მშობლიურ რაიონში, სოფელ რუფოთში დაბრუნდა, მშვენიერ მეუღლესთან—ირინასთან ერთად. ოცდათორმეტი წელიწადია ირინა თერჯოლაში, სოფელ რუფოთში (ტელეფა) ცხოვრობს, უყვარს საქართველო და ქართველები, რუფოთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები, მათი მშობლები, მთელი სოფელი. სკოლის დირექტორის კოტე გოგიაშვილის თქმით—იგი კარგი პედაგოგია, წარმატებებს აღწევს მუშაობაში.

ბეჟანმა და ირინამ ორი შვილი ქეთევანი და ზურაბი აღზარდეს, ორივეს უმაღლესი განათლება მისცეს, სიძე სულხან სამხარაძე, რძალი იამზე რობაქიძე, შვილიშვილები: საბა, გიორგი, დემეტრე მათთვის ყველაფერია.

უკრაინულ ტრადიციებზე აღზრდილი ირინა, მალე შეეგუა ქართულ წეს-ჩვეულებას, მოსწონს და უყვარს ყველაფერი ქართული, ცხადია უკრაინულიც, იგი ხშირად ამზადებს უკრაინულ კერძებს, სიამოვნებს როცა უწონებენ, ცდილობდა ორი ერის ტრადიციები ერთმანეთს ისე შერწყმოდა, რომ ორივეს სიდიადე და ღირსება წარმოეჩინა. განვლილი ცხოვრების თითქმის ნახევარი უკრაინაში, ნახევარი საქართველოში—ქვეყნების თანაბარი სიყვარული ჩამოყალიბდა და წუხს ახლა ქართულ-უკრაინული ოჯახი—უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, მაგრამ რა შეუძლიათ! გამოხატავენ თანადგომას, იზიარებენ მწუხარებას და სიამოვნებით დაეხმარებიან რითაც შეძლებენ.

„სამსახურთან ერთად დაკავებული ვარ სოფლის მეურნეობით“-ო ისეთი მოკრძალებით თქვა ირინამ, გეგონება სახალისოდ უვლიდეს ტალავერს, საბატიბუტო სიმინდი მოჰყავდეს და ეგზოტიკური ფრინველ-ცხოველი ჰყავდეს.

დიდი, შეძლებული და გამართული ოჯახი აქვს ბეჟან ცქიფურიშვილს, ქალბატონი ირინა, შვილები, შრომისმოყვარენი არიან და ეტყობათ კიდეც, აქვთ 2000 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი, ძირითადად ციცქა-ცოლიკაური და ოცხანური. უწევთ მძიმე შრომა, ვენახის წამლობას მინიმუმ ათჯერ ატარებს, ტრადიციულ პრეპარატს იყენებს—კირს და შაბიამანს, ერთ წამლობაზე 200-დან 800 ლიტრი ხსნარი სჭირდება, ყოველწლიურად 10 ტონა ყურძენს იღებს და გასაღების ბაზარიც თვითონ მოძებნა, მყიდველები სოფელშიც შემოდიან, ცდილობს აუხსნას მყიდველებს ღვინის დაყენების წესები, აძლევს რჩევებს, როგორი ღვინო დააყენა ყურძნის მყიდველმა ხანდახან იმასაც იძევს, უყვართ ოჯახში ყურძნის წურვის პროცესი, ოქროსფერი ყურძნით სავსე ხის ასწლიანი საწნახელი.

ბეჟანი ახალი ვენახების გაშენებასაც ფიქრობს, ციცქა-ცოლიკაურს სხვა ჯიშებსაც შემატებს.

ოჯახში ჰყავთ რამდენიმე სული მსხვილფეხა, „ურიცხვი“ ფრინველი და მოჰყავთ სიმინდის მოსავალი...

ბედნიერია ქართულ-უკრაინული ოჯახი, სითბო და სიყვარულია დასადგურებული, ოჯახის სიმყუდროვე ახლა დარღვეულია, მძიმეა მათთვის რუსეთ-უკრაინის ომი, უკრაინა ხომ თითქმის მეორე სამშობლოა.

ჟუჟუნა ცხადაძე

„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“

1☞

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვთა დღის ცენტრების „საპოვნელასა“ და „იმედის სხივის“ აღსაზრდელები.

აქ მობრძანდნენ მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარათაშვილი და ქ. თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონი ელისო მურადაშვილი, სხვა ოფიციალური პირები, საზოგადოების წარმომადგენლები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ბატონმა ლაშამ.,კერძოდ, მან თქვა—„დღევანდელი დღის მიზანია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მინაწილეობის უზრუნველყოფა. ამ ბავშვებს განსაკუთრებული სითბო და სიყვარული სჭირდება. მათ აქვთ შემოქმედებითი უნარი და ნიჭიერება, რომ გამოიჩინონ თავი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საზოგადოებაში მათი სრული ინტეგრაციისათვის“.

მშვიდობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვა ბავშვებს, მათ ოჯახებსა და ახლობლებს.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი დღის ცენტრის ბავშვების და სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები მოიწონა მრავალრიცხოვანმა მნახველმა.

შთამბეჭდავმა ღონისძიებამ დაგვანახა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ჩვეულებრივი აქტივობით არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ღონისძიებაზე შეკრებილი საზოგადოება გამოხატავდა გულწრფელ მადლიერებას ორგანიზატორთა მიერ აგრე რიგ საჭირო და ღამაზი ღონისძიების მოწყობისათვის.

28 მარტიდან გაუქმდა ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება და მთელი რიგი სხვა შეზღუდვები...

ეს გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მიიღო. პირბადის ტარების ვალდებულება შენარჩუნდება მხოლოდ დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

გაუქმდა სტუმრების რაოდენობაზე მოქმედი შეზღუდვა, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ასევე სპორტულ, სახელოვნებო თუ სხვა სახის ღონისძიებებზე, მათ შორის სოციალურ ღონისძიებებზე.

სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი საჯარო მოხელეები.

ამასთანავე, უქმდება თვითიზოლაციის ვალდებულება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეყანაში PCR-ტესტის გარეშე ბრუნდებიან.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აპრილის განმავლობაში გაგრძელდება ვაქცინაციის წახალისების პროგრამა, რომლის თანახმად, 50 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები ვაქცინის პირველი დოზით აცრის შემთხვევაში 200 ლარს მიიღებენ, ხოლო ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირებს 100 ლარი ჩაერიცხებათ.

როგორც საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, საქართველო იქნება რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც „ფაიზერის“ მიერ შექმნილ კოვიდის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს. „პაქსლოვიდის“ პირველი დოზები ქვეყანაში მალე შემოვა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებსა და რისკჯგუფების წარმომადგენლებს, ინფიცირების შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, მკურნალობის კურსისთვის საჭირო მედიკამენტის დოზა უფასოდ გადაეცემათ.

ფორიაქი საუკუნეების სისხლიანი ლაქები

—ანდერძის თანახმად ალექსანდრე მაკედონელს კუბოს გარე კიდეზე გადმოადებინეს ხელი, რომ ხალხს დაენახა—მსოფლიო მპყრობელ-მბრძანებელს არაფერი მიჰქონდა თავის მარადიულ სამყოფელში;

—ნაპოლეონ ბონაპარტე ბრძოლებში ჭადრაკის დაფას თან ატარებდა, ბევრი პარტია მოიგო, ბოლოს თვითონაც დანებდა;

—ადოლფ ჰიტლერმა განსაცდელის ჟამს თავი სად შეაფარა? რაიხსტაგის რომელ ჯურღმულში? კაცი არ აღმოჩნდა დამნახველ-დამმარხველი...

—ისტორიამ შემოგვინახა ბევრი სხვა მომხვდურ ბოროტმზრახველთა სახელებიც: კოჭლი თემურ ლენგი, ყრუ მურვანყრუ; პირსისხლიანი შაჰ-აბასი, საჭურისი აღა მაჰმად ხანი და სხვა მრავალი.

ისტორიამ განსაჯა და დასასჯელი დასაჯა ყოველი!

ბოლოთქმა

ვინ იქნება შემდეგი?

ზენაარი ვის დასჯის, მოყვასს რომ გაეგბუტოს?!

„არა კაც ჰკლა“, არა შესცოდო, კეისარო!

—არც შენ, ბრუტუს!

ორი პარადოქსი

დუელი

ორი კარის მეზობელი
სისხლით ნათესავი
და ძმადნაფიცი.
მუდამ სიკეთის თესლის მთესავი,
სხვაგვარად როგორ ვთქვა—არ ვიცი
ღმერთმანი.
როგორ ესროლა, ან რატომ ესროლა ერთმა მეორეს
ხელთათმანი?!
როგორ გაიმეტა, ან რატომ გაიმეტა დუელში
სილა გასაწვნელად?
მითხარით, ამიხსენით—რა ჰქვია ამ ყველაფერს სახელად?

და წარსულის ექო...
ცოტნე დადიანი—ეპოქა დარდიანი!..

„ასეთი იყო ჩვენი წარსული:
სისხლი,
გოდება,
ჯვარცმა!
უცხომ, უგვანმა, გადამთიელმა
როგორც ჩანს, მაინც კაცმა
ცხოვრების მცოდნემ
—დაინდო ცოტნე“.
ეს მითი არის, თუ სინამდვილე, ამომიკითხავს სადღაც.
თვალებჭუტალა მონღოლი თვალის წინ მიდგას ახლაც...

ნუგზარ გამყრელიძე

საგაზაფხულო ვერნისაჟი და სოლიდარობა უკრაინას...

24 მარტს, 2 საათზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლამ მორიგი ვერნისაჟი დააანონსა... სკოლას, რომელსაც უკვე 35-ზე მეტი წლის წარმატებული სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის ისტორია აქვს, მის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს, აღსაზრდელებს თაყვანისმცემელთა თუ შემფასებელთა შორის მუდამ ჰყავს, უპირველესად, მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკები, რომლებიც ყოველ ახალ გამოფენას ინტერესითა და ახლის მოლოდინით ათვალიერებენ. ასე მოხდა მარტის იმ სუსხიან დღესაც...

საგამოფენო დარბაზის კედლებზე ლამაზად განთავსებული საგაზაფხულო თემატიკისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ნამუშევრები გრაფიკის, ფერწერის, მინაზე ხატვის და ა.შ. ნიმუშები მეტყველებს იმაზე, რომ თაობა, რომელიც დღეს აქ ხელოვნების ამ უმშვენიერეს დარგთან „წილნაყარობს“ სიყვარულით, რუდუნებით და შრომისმოყვარეობით ეუფლება მისთვის სასურველ საქმეს, რომლებიც შემდეგ თავიანთ მომავალ ცხოვრებაში გაიხდიან თუ არ გაიხდიან მას პროფესიად, ნამდვილად შეუწყობთ ხელს იყვნენ ღირსეული, დახვეწილგემოვნებიანი და ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანები.

საგაზაფხულო გამოფენისათვის სამზადისი გარკვეულწილად უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს დაემთხვა და ასე გაჩნდა გამოფენაზე პარალელურად რუსეთ-უკრაინის ომის თემატიკა. მოსწავლეებმა უკრაინის სიმბოლიკისა და სხვადასხვა სიტუაციების წარმოსახვით შექმნილი ნამუშევრებით უკრაინის მოსახლეობას და თანატოლებს სოლიდარობა გამოუცხადეს: საგაზაფხულო ფერებთან ერთად დომინირებს ლურჯი და ყვითელი... არა ომს, დიდება უკრაინას—ასე გამოხატავენ პროტესტს ნორჩი „მხატვრები“...

საგაზაფხულო ვერნისაჟი გამორჩეულია კიდევ ერთი სიახლით: თეფშებზე შესრულებულმა ნამუშევრებმა, რომელიც პირველად არის წარმოდგენილი, მეტი ხიბლი შესძინა და ძალიანაც დაამშვენა გამოფენა.

და კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი: გამოფენაზე არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ღირებული ნამუშევარი, რომელიც იმთავითვე ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი ავტორი გახლავთ გივი წაქაძე... „აქ გამორჩეულ ნიჭიერებასთან გვაქვს საქმე, ამბობს სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი, უკვე 33 წელზე მეტია ამ სკოლაში ვმუშაობ, მრავალი საუკეთესო მოსწავლე გვყოლია, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობენ სამხატვრო, საარქიტექტორო, სადიზაინერო თუ სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა შესახებ სიამაყით დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, ყოველთვის მაოცებდა რომ აქ, ამ პატარა რაიონში ამდენი ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი იყო, ჩვენმა სკოლამ ისინი აღმოვაჩინეთ და გზა გავუკვალეთ. გივიკოს შემთხვევა სულ სხვაა, ის უნიკალურია და მის მომავალს სხვა განსაკუთრებულობაში ვხედავ. გავა წლები და დარწმუნებული ვარ ის ღირსეულად დაიმკვიდრებს თავს დიდ ხელოვანთა შორის... ის ძალიან ნიჭიერია, აქვს შინაგანი მოთხოვნილება, უნარი, ჰქონდეს იდეა, ჩანაფიქრი და შექმნას, შრომისმოყვარეა და მუშაობის პროცესი მისი ჰობია“.





თამარ ღარიბაშვილი ზერელედ და უსაფუძვლოდ არასდროს არავისზე არ საუბრობს. მისი საუბარი მისი რწმენიდან მომდინარეობს, თავად შესანიშნავი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე კარგად გრძნობს გივიკოს შემთხვევაში ვისთანაც გვაქვს საქმე—ჩვენ ყველას ერთად...

ქალბატონმა თამარმა იმ დღეს დამთვალიერებლებს სხვა ნიჭიერი მოსწავლეებიც თუ ყოფილი მოსწავლეც წარუდგინა: მომავალი „არქიტექტორი“ გიორგი რობაქიძე, ყოფილი მოსწავლე ნიკა ზარნაძე, რომელიც გამოფენის გახსნას ესწრებოდა, მას საკუთარი ნაშრომის წარდგენისათვის თურქეთში საერთაშორისო ფესტივალზე, სერთიფიკატი და გრანპრი აქვს მიღებული, წარადგინა აგრეთვე ნიჭიერი გოგონა ანანო ობოლაძე, რომლის ნამუშევრები გამოფენაზე ყოველთვის იმსახურებს მოწონებას.

„ხელოვნების გზა იოლი არ არის, ის განსაკუთრებულ ნიჭიერებას და ტიტანურ შრომას მოითხოვს, ამ გზის გავლა გამორჩეულად შრომისმოყვარე ნიჭიერ და მიზანდასახულ ადამიანს შეუძლია, დაძალებით ვერავის აიძულებ, ეს მისივე შინაგანი მოთხოვნილებიდან უნდა მოდიოდეს და ასეთ შემთხვევაში შეძლებს თავი დაიმკვიდროს ამ სფეროში“, აღნიშნა თამარმა.

საგაზაფხულო ვერნისაჟს სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლაში, სხვებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გურამ თურქაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, აგრეთვე თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი და სხვები დაესწრნენ.

გამოფენასთან და სამხატვრო სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით ისაუბრეს: მანუჩარ რობაქიძემ, გურამ თურქაძემ, ელისო მურადაშვილმა. თითოეულმა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლა, მისი პედკოლექტივი ემსახურებიან უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს, რომ აქ გატარებული წლები თუ თითოეული დღე თერჯოლელი ახალგაზრდებისთვის, სკოლასთან ერთად, არის მრავლისმიმცემი მათ სამომავლო საქმიანობაში.

აღინიშნა, რომ ქალბატონი თამარისა და პედაგოგების დამსახურებაა თერჯოლიდან ახალგაზრდა არქიტექტორთა სიმრავლე, რომლებიც დედაქალაქში და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ.

თამარმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულები სკოლასთან ურთიერთობას შემდგომშიც აგრძელებენ იმის გამოხატულების ნიშნად, რომ მათ აქედან სითბო, სიყვარული და თანადგომა გაიყოლეს მიღებულ ცოდნასთან ერთად. უახლოეს მომავალში სამხატვრო სკოლაში ყოფილ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობას გააგრძელებენ.

მან აგრეთვე მადლიერება გამოხატა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მისამართით, რომლებმაც თერჯოლელ ბავშვებსა და აღმზრდელებს მუშაობის საუკეთესო პირობები შეუქმნეს, საკუთარი შენობა, უფასო სწავლა, რიგ შემთხვევაში სამუშაო მასალა, მოწესრიგებული გარემო, რომელზედაც მრავალი მუნიციპალიტეტის სკოლები ვერც იოცნებებენ, აღნიშნა თამარმა.

იყო სიურპრიზიც: ქალბატონმა თამარმა მერიისაგან საჩუქრად, ქუთაისის (იმერეთის) მხატვართა რეგიონული ორგანიზაციის „იმერეთის პალიტრის“ რამდენიმე ეგზემპლარი მიიღო, რომელშიდაც სხვა შემოქმედებთან ერთად, თერჯოლიდან, თამარ ღარიბაშვილის და ასევე ცნობილი თერჯოლელი მხატვრის, აკვარელისტ ნუგზარ ქოჩიაშვილის ნამუშევრებია წარმოდგენილი.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872